ფიტრა (ბუნებრიობა) მოიცავს ხუთ რამეს: წინდაცვეთა, ბოქვენის გაპარსვა, ულვაშების დამოკლება, ფრჩხილების დაჭრა და იღლიებიდან თმების მოგლეჯა

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: ფიტრა (ბუნებრიობა) მოიცავს ხუთ რამეს: წინდაცვეთა, ბოქვენის გაპარსვა, ულვაშების დამოკლება, ფრჩხილების დაჭრა და იღლიებიდან თმების მოგლეჯა.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა ხუთი ქმედება, რომლებიც დამახასიათებელია ისლამის რელიგიისთვის და პრაქტიკაში მოჰყავდათ შუამავლებს. პირველი: წინდაცვეთა - გულისხმობს მამაკაცის სასქესო ორგანოს თავზე არსებული ზედმეტი კანის მოცილებას და ქალის სასქესო ორგანოს ზედა ნაწილის, ანუ შესვლის ადგილის ზემოთ არსებული კანის მოჭრას. მეორე: ბოქვენის გაპარსვა - ეს გულისხმობს ბოქვენის თმების გაპარსვას, რომლებიც მდებარეობს სასქესო ორგანოს ირგვლივ. მესამე: ულვაშის დამოკლება - გულისხმობს იმ თმის დამოკლებას, რომელიც კაცის ზედა ტუჩზე იზრდება ისე, რომ ტუჩი გამოჩნდეს. მეოთხე: ფრჩხილების მოჭრა. მეხუთე: იღლიიდან თმის მოშორება(ამოღება).

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3144

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee